ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №18

17 ივნისი 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

წევრები- ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი,ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე,აკაკი ალადაშვილი, დავით ფარცვანია.

სხდომა თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-ლევან მიქავა
სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
(საკრ.№15-032216567-03; 11-0122165877 14.06.2022წ)
(საკრ.№15-032216823-03; 11-01221681147 17.06.2022წ)

დღის წესრიგი დამტკიცდა.
კვარტალური ცვლილებები კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.
გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, საქალაქო სამსახურების და რაიონული გამგეობების მოთხოვნის საფუძველზე ხდება ცვლილებები პროგრამა/ქვეპროგრამაში.კერძოდ:
იზრდება მეორე კვარტლის გეგმა შემდეგ პროგრამებში- „გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში“(პროგრამული კოდი 01 01 08) -250 000 ლარით, „სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა“(პროგრამული კოდი 02 06) 235 000 ლარით, “კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები“(პროგრამული კოდი 02 09 01)- 150 000 ლარით, “კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში“(პროგრამული კოდი 02 09 13)-94 000 ლარით, “კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში“ (პროგრამული კოდი 02 09 16) – 44 000 ლარით, „კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში“(პროგრამული კოდი 02 09 17)-400 000 ლარით, “ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში“(პროგრამული კოდი 05 01 08) -200 000 ლარით.
მცირდება: „გზების მოვლა და შეკეთება“ (პროგრამული კოდი 01 01 01) -3 000 000 ლარით, „გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში“(პროგრამული კოდი 01 01 14) 210 000 ლარით, „გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში“(პროგრამული კოდი 01 01 11)-34 000 ლარით, „საინჟინრო ნაგებობების და ინფრსატრუქტურის ობიექტების მშენდებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“(პროგრამული კოდი 02 01) – 4 000 000 ლარით. საერთო ჯამში მეორე კვარტლის გადასახდელები მცირდება 6 179 900 ლარით, თანხები გადადის მესამე და მეოთხე კვარტლებში,დაბალანსება ხდება შემოსავლების მეორე კვარტლის გეგმის შემცირებით 7 000 000 ლარით და ნაშთის ცვილებით (- 820 000 ლარი).

გარდა ამისა წარმოდგენილია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი მოთხოვნა. პროგრამაში „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია“ (პროგრამული კოდი 01 02 05) - მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 15 541 800 ლარით, მესამე კვარტლის გეგმის შესაბამისად შემცირებით, იზრდება ასევე „კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში“(პროგრამული კოდი 02 09 15) მეორე კვარტლის გეგმა 233 000 ლარით, მესამე და მეოთხე კვარტლის გეგმების შემცირებით.
გაიოზ თალაკვაძემ დაწვრილებით განმარტა წარმოდგენილი კვრატალური ცვლილებების შესახებ.
საკითხი დადგა კენჭისყრაზე.
მომხრე-8
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ითხოვს, მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას , ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ხელაძე